| Reg 2018/848, 28(1) | |
|---|---|
| **1.** | |
| **შეუსაბამობის კატეგორიის დასადგენი კრიტერიუმები (უმნიშვნელო, მნიშვნელოვანი, კრიტიკული):**<br>Ref 2021/1698 Reg:<br>-Part A of Annex IV<br>-point (a)(ii) of Article 10(1)<br>-point (f) of Article 11(1) | ( შეუსაბამობის კლასიფიკაცია სამ კატეგორიად: **უმნიშვნელო, მნიშვნელოვანი, კრიტიკული.**<br>)(Ref Part A of Annex IV to 2021/1698 Reg):<br>(i) ევროკავშირის (EU) No 2018/848 რეგულაციის 28(1) მუხლში დადგენილი ამაფრთხილებელი ზომებისა და ამ რეგულაციის მე-10(1) მუხლის (ა)(ii) პუნქტში დადგენილი პრაქტიკული ზომების გამოყენება და აგრეთვე ოპერატორისა ან ოპერატორთა ჯგუფის მიერ ამ რეგულაციის მე-11(1) მუხლის (ვ) პუნქტის შესაბამისად შემოღებული შიდა კონტროლის სანდოობა;<br>(ii) ვლენა ორგანული ან კონვერსიული პროდუქტის საიმედოობაზე;<br>(iii)მიკვლევადობის სისტემის უნარი მიწოდების ჯაჭვში მიაკვლიოს დაბინძურებულ პროდუქტ(ებ)ს და ევროკავშირის ბაზარზე ორგანულ წარმოებაზე მითითებით განთავსების მიზნით მესამე ქვეყნიდან ამ პროდუქტ(ებ)ის იმპორტის აკრძალვა.<br>(iv)ოპერატორის ან ოპერატორთა ჯგუფის უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანოს ან მაკონტროლებელი ორგანოს წინა მოთხოვნებზე პასუხები. |
| **შეუსაბამობა უმნიშვნელოა როდესაც:** | i)უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანოს ან მაკონტროლებელი ორგანოს შეფასებით, ოპერატორის მიერ დანერგილი გამაფრთხილებელი ზომები არის პროპორციული და შესაბამისი, და ოპერატორის მიერ დანერგილი კონტროლის სისტემა არის შედეგიანი;<br>(ii)შეუსაბამობა არ ახდენს გავლენას ორგანული ან კონვერსიული პროდუქტის საიმედოობაზე;<br>(iii)ოპერატორის მიკვლევადობის სისტემით შესაძლებელია შეუსაბამო პროდუქტ(ებ)ის მიწოდების ჯაჭვში ადგილსამყოფელის განსაზღვრა და ევროკავშირის ბაზარზე ორგანული ნიშანდებით განთავსების მიზნით მესამე ქვეყნიდან ამ პროდუქტის იმპორტის თავიდან არიდება; |
| **შეუსაბამობა მნიშვნელოვანია როდესაც:** | (i)უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანოს ან მაკონტროლებელი ორგანოს შეფასებით, ოპერატორის მიერ დანერგილი გამაფრთხილებელი ზომები არ არის პროპორციული და შესაბამისი, და ოპერატორის მიერ დანერგილი კონტროლის სისტემა არ არის შედეგიანი;<br>(ii)შეუსაბამობა ახდენს გავლენას ორგანული ან კონვერსიული პროდუქტის საიმედოობაზე; |

| | |
|---|---|
| | (iii) ოპერატორმა არ აღმოფხვრა უმნიშვნელო შეუსაბამობა დროულად;<br>(iv)ოპერატორის მიკვლევადობის სისტემით შესაძლებელია შეუსაბამო პროდუქტ(ებ)ის მიწოდების ჯაჭვში ადგილსამყოფელის განსაზღვრა და ევროკავშირის ბაზარზე ორგანული ნიშანდებით განთავსების მიზნით მესამე ქვეყნიდან ამ პროდუქტის იმპორტის თავიდან არიდება; |
| შეუსაბამობა კრიტიკულია როდესაც: | (i)უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანოს ან მაკონტროლებელი ორგანოს შეფასებით, ოპერატორის მიერ დანერგილი გამაფრთხილებელი ზომები არ არის პროპორციული და შესაბამისი, და ოპერატორის მიერ დანერგილი კონტროლის სისტემა არ არის შედეგიანი:<br>(ii)შეუსაბამობა ახდენს გავლენას ორგანული ან კონვერსიული პროდუქტის საიმედოობაზე;<br>(iii)ოპერატორმა დროულად არ აღმოფხვრა მნიშვნელოვანი შეუსაბამობა ან განმეორებით არ ასწორებს სხვა კატეგორიის შეუსაბამობებს; და<br>(iv)მიკვლევადობის სისტემით შეუძლებელია შეუსაბამო პროდუქტ(ებ)ის მიწოდების ჯაჭვში მიკვლევა და ევროკავშირის ბაზარზე ორგანული ნიშანდებით განთავსების მიზნით მესამე ქვეყნიდან ამ პროდუქტის იმპორტის თავიდან არიდება |
| **2.** | |
| **გასატარებელი ზომები<br>(Ref Annex IV, Part A to reg 1698/2021)** | |
| **შეუსაბამობის კატეგორია** | **გასატარებელი ზომები** |
| **უმნიშვნელო შეუსაბამობა** | ⇒ ოპერატორის მიერ შეუსაბამობის მაკორექტირებელი მოქმედების გეგმის განსაზღვრულ დროში წარდგენა. |
| **მნიშვნელოვანი შეუსაბამობა** | ⇒ ევროკავშირის (EU) No 2018/848 რეგულაციის 42(1) მუხლის თანახმად, შეუსაბამო პროდუქტის მთლიანი პარტიის ან წარმოებული მარაგის (მცენარეული კულტურა(ები) ან ცხოველ(ებ)ი, რომელთაც შეეხო შეუსაბამობა) ეტიკეტსა და სარეკლამო მასალებზე ორგანული წარმოების ნიშანდების გამოყენების აკრძალვა;<br>⇒ ევროკავშირის (EU) No 2018/848 რეგულაციის 42(2) მუხლის თანახმად, მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის ბაზარზე ორგანული პროდუქტის სტატუსით განთავსების მიზნით, ასეთი პროდუქტის იმპორტის აკრძალვა განსაზღვრული პერიოდით;<br>⇒ კონვერსიის ახალი პერიოდის დანიშვნა;<br>⇒ სერტიფიცირების სფეროს შემცირება;<br>⇒ ოპერატორის მიერ შესაბამისობის მისაღწევად დანერგილი გამაფრთხილებელი ზომებისა და კონტროლის განხორციელების გაუმჯობესება. |
| **კრიტიკული შეუსაბამობა** | ⇒ ევროკავშირის (EU) No 2018/848 რეგულაციის 42(1) მუხლის თანახმად, შეუსაბამო პროდუქტის მთლიანი პარტიის ან წარმოებული მარაგის (მცენარეული კულტურა(ები) ან ცხოველ(ებ)ი, რომელთაც შეეხო შეუსაბამობა) |

| | |
|---|---|
| | ეტიკეტსა და სარეკლამო მასალებზე ორგანული წარმოების ნიშანდების გამოყენების აკრძალვა;<br>⇒ ევროკავშირის (EU) No 2018/848 რეგულაციის 42(2) მუხლის თანახმად მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის ბაზარზე ორგანული პროდუქტის სტატუსით განთავსების მიზნით, ასეთი პროდუქტის იმპორტის აკრძალვა განსაზღვრული პერიოდით;<br>⇒ კონვერსიის ახალი პერიოდის დანიშვნა;<br>⇒ სერტიფიცირების სფეროს შემცირება;<br>⇒ სერტიფიკატის შეჩერება;<br>⇒ სერტიფიკატის ჩამორთმევა. |

**3.**

**ზომების კატალოგში სავალდებულოდ გასათვლისწინებელი შეუსაბამობები და მათი შესაბამისი კლასიფიკაცია**
(Ref Part B of Annex IV to 2021/1698 Regulation)

| **შეუსაბამობა** | **კატეგორია** |
|---|---|
| მნიშვნელოვანი გადახრა გადამუშავებული ნედლეულისა და მიღებული პროდუქციის რაოდენობებს შორის (საწარმოო ბალანსი) | მნიშვნელოვანი |
| ევროკავშირის (EU) No 2018/848 რეგულაციასთან შესაბამისობის მამტკიცებელი ჩანაწერებისა და ფინანსური დოკუმენტაციის არ არსებობა | კრიტიკული |
| ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვებით გამოწვეული ჩანაწერების ნაკლულობა | კრიტიკული |
| ორგანულ სერტიფიცირებასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაყალბება | კრიტიკული |
| არასერტიფიცირებული პროდუქციის, როგორც ორგანულის წინასწარგანზრახული ნიშანდება | კრიტიკული |
| ორგანული პროდუქციის კონვერსიულ ან არაორგანულ პროდუქციასთან წინასწარგანზრახული შერევა | კრიტიკული |
| (EU) No 2018/848 რეგულაციის მოქმედებების ფარგლებში აკრძალული ნივთიერებების ან პროდუქტების წინასწარგანზრახული გამოყენება | კრიტიკული |
| გმო-ს წინასწარგანზრახული გამოყენება | კრიტიკული |
| ოპერატორი უარს აცხადებს დაუშვას უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანო ან მაკონტროლებელი ორგანო მის საწარმოო სივრცეში კონტროლის მიზნით ან მიაწოდოს მას ჩანაწერებს, ფინანსური დოკუმენტაციის ჩათვლით, ანარ აძლევს უფლებამოსილ მაკონტროლებელ ორგანოსა ან მაკონტროლებელ ორგანოს ნიმუშების აღების უფლებას. | კრიტიკული |

**4.**

| **მითითება რე** | **სიტუაცია/ შეუსაბა** | **შეუსაბამობის კატეგორია (გამოიყენეთ შესაბამისი - უმნიშვნელო , მნიშვნელოვანი , კრიტიკული)** | **გასატარებელი ზომა** |
|---|---|---|---|

| | | | |
| --- | --- | --- | --- |
| **გულაციაზე** | **მობა** | | |
| სპეციფიკური შემთხვევები და ზომები ევრორეგულაციის 2021/1698 ის მუხლი 22, B ნაწილი, და ნართი IV. | სერტიფიცირების ორგანომ მიიღო სანდო ინფორმაცია აკრძალული ნივთიერების არსებობის შესახებ | **მნიშვნელოვანი** | შეწყდეს პროდუქტის რეალიზაცია ბიო ნიშანდებით.<br>შეწყდეს პროდუქტის გამოყენება ბიო ინგრედიენტის სახით. ჩატარდეს გამოძიება. ოპერატორს მიეცეს კომენტარის გაკეთების უფლება.<br>გატარდეს მაკორექტირებელი ქმედება (თუ შესაძლებელია გამოსწორება) |
| **შენიშვნა:** წინამდებარე ცხრილი შეიძლება გადაიხედოს და გაგრძელდეს. კონკრეტული შემთხვევები შეიძლება დამატებულ იქნეს პრაქტიკაში დაფიქსირებული შეუსაბამობების და მათი განმეორებადობას შესაბამისად. წინამდებარე სია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალში მისაღები გადაწყვეტილებების მაგალითად. | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ბიო მეურნეობის არა საკმარისი სეპარირება არა ბიო მეურნეობისაგან | **უმნიშვნელო**<br>(გამაფრთხილებელი ზომები ზოგადად დამაკმაყოფილებელია, საჭიროა სრულყოფა და შესრულებადია, მაგრამ არსებობს რისკი)<br><br>**მნიშვნელოვანი**<br>(თუ იქონიებს გავლენას პროდუქტის ბიო სტატუსზე), ან<br><br>**კრიტიკული** („მნიშვნელოვანი“ შეიძლება გადაკვალიფიცირდეს როგორც კრიტიკული თუ დადასტურდა ბიო სტატუსის დარღვევა) | **უმნიშვნელო -**<br>გაფრთხილება<br><br>**უმნიშვნელოს და მნიშვნელოვანი** - დამატებითი ინსპექტირება და ნიმუშის აღება<br><br>**კრიტიკული -** ბიო წარმოებაზე მითითების მოშორება, ასევე ბიო ნიშანდების მოშორება ყველა ლოტზე და საწარმოო ციკლზე<br><br>**აშკარა ან განმეორებადი დარღვევისას,** ბიო ნიშანდებით ან ბიო წარმოებაზე მითითებით რეალიზაციაზე დროებითი აკრძალვა, ასევე ნიშნის გამოყენების უფლების ჩამორთმევა. |
| | არა ბიო წარმომავლობის საშუალებების გამოყენება სერტიფიცირების ორგანოს ნებართვის გარ | **უმნიშვნელო**<br>(თუ არ დარღვევა სტანდარტის მოთხოვნა)<br><br>**მნიშვნელოვანი და კრიტიკული**<br>(თუ დაირღვა სტანდარტის მოთხოვნა ან ადგილი აქვს შეუსაბამობის განმეორებას) | **უმნიშვნელო -**<br>გაფრთხილება ან დამატებითი ინსპექტირება და ნიმუშის აღება<br><br>**მნიშვნელოვანი** - ახალი გარდამავალი პერიოდის დანიშვნა.<br>დამატებითი ინსპექტირება და ნიმუშის აღება. პროდუქტის იდენტიფიცირება შესაძლებელია და გამოწვეულ იქნება ბიო ბაზრიდან.<br><br>**კრიტიკული -** ბიო წარმოებაზე მითითების აკრძალვა, ბაზრის და უფლებამოსილი ორგანოების შეტყობინება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ეშე (მაგ.: არაბიო სათესლე მასალა ან სანერგე მასალა, ცხოველების საკვები ან ვეტერინარული საშუალებები, არაბიო ცხოველები). | | |
| | ბიო წარმოების მოთხოვნების | **უმნიშვნელო**<br>(თუ გამოსწორებადია და არ მოხდა შერევა ან აკრძალული საშუალების გამოყენება)<br><br>**მნიშვნელოვანი**<br>(თუ დაფიქსირდა განმეორება)<br><br>**კრიტიკული** (შეგნებულად დარღვევა და მისი განმეორება) | **უმნიშვნელო** -<br>გაფრთხილება, მაკორექტირებელი ქმედება (ვადების მითითებით)<br><br>**მნიშვნელოვანი** -<br>დამატებითი ინსპექტირება და ნიმუშის აღება (თუ დაფიქსირდა დაბინძურების რისკი). |

| | | | |
|---|---|---|---|
| | დარღვევა. | | **კრიტიკული -** ბიო წარმოებაზე მითითების აკრძალვა, ბაზრის და უფლებამოსილი ორგანოების შეტყობინება.<br>სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება და გამოუსწორებლობის შემთხვევაში მისი ჩამორთმევა. |